

**ნათლობის რიტუალის რელიგიური და სექულარული მნიშვნელობის  
შესწავლა საქართველოში საბჭოთა და პოსტ-საბჭოთა რელიგიური  
გარემოს გათვალისწინებით**

**თეა ქართველიშვილი**

*სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციოლოგიის მაგისტრის აკადემიური  
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

**სოციოლოგია**

სამეცნიერო ხელმძღვანელი: სოფიო ზვიადაძე, ასოცირებული  
პროფესორი, კულტურის და რელიგიის კვლევების მიმართულებით

**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**თბილისი, 2020**

## განაცხადი

*„როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“*

თეა ქართველიშვილი

10.07.2020

## აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია ნათლობის ტრადიციის რელიგიური და სოციალურ-კულტურული მნიშვნელობა მართლმადიდებელ ქრისტიანებში, ნაშრომში განხილულია ნათლობის, როგორც რიტუალის ფუნქცია და ფორმები, მათ შორის საბჭოთა პერიოდის ბოლო ათწლეულში. კვლევის მიზანს წარმოადგენდა გამოველინა ნათლობის ტრადიციით „დანათესავებაში“ არსებული რელიგიური და სეკულარული მიდგომები. კვლევის მიხედვით, მართლმადიდებელი ქრისტიანებისთვის ნათლობა რელიგიური და კულტურული იდენტობის ერთ-ერთი გამოხატულებაა. „მონათლული“, „ქრისტიანი“, „ქართველი“- რესპონდენტთა ნარატივში თითქმის ერთ და თანაბარ მნიშვნელოვნად გამოიხატება. ხოლო, ოჯახის წევრის მონათვლას განაპირობებს, როგორც რელიგიური, ასევე სეკულარული მოტივაციები. სოციალურ ცხოვრებაში, ნათლობა არის სოციალური კავშირის დამყარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფორმა. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ როგორც ნათლობას აგრეთვე ნათლიას სოციალური და კულტურული მნიშვნელობაც აქვს. ნათლიის არჩევნით ადამიანები ცდილობენ მათთვის მიზიდველ სოციალურ ჯგუფში გაერთიანებას, შესაბამის სოციალურ პოზიციაზე განლაგებას და სხვადასხვა სახის კაპიტალის შექმნას.

**ძირითადი საძიებო სიტყვები:** ნათლობა, რიტუალი, სიმბოლური კაპიტალი, ნათლია, საქართველო, მართლმადიდებლური ქრისტიანობა.

## **Abstract**

The present paper presents the religious and socio-cultural significance of the baptismal tradition in Orthodox Christians, and discusses the function and forms of baptism as a ritual, including in the last decade of the Soviet period. The aim of the study was to identify religious and secular approaches to the "kinship" tradition. According to the study, baptism for Orthodox Christians is one of the expression of religious and cultural identity. "Baptized", "Christian", "Georgian" - in the narrative of the respondents is almost one and equally important. And the baptism of a family member is conditioned by both religious and secular motivations. In social life, baptism is one of the most important forms of establishing social connection. The study found that both baptism and godparenthood have social and cultural significance. By choosing the godfather, people try to unite in an attractive social group, place themselves in the appropriate social position and create different types of capital.

**Key words:** Baptism, ritual, symbolic capital, godfather, Georgia, Orthodox Christianity.

## მადლობა

უდიდეს მადლობას ვუხდით ჩემს აკადემიურ ხელმძღვანელს ქალბატონ სოფიო ზვიადაძეს, რომლის რჩევები, მითითებები და მხარდაჭერა განსაკუთრებული იყო კვლევის პროცესში. მნიშვნელოვანი სტიმულის მომცემი იყო მისი აკადემიური და მეგობრული დამოკიდებულება. ასე გამორჩეული მადლობა მინდა გადავუხადო ყველა იმ რესპონდენტს, რომელთაც დამითმეს დრო და გამიზიარეს ჩემთვის მეტად საინტერესო გამოცდილება და ადამიანებს, რომლებიც მეხმარებოდნენ და გვერდში მედგნენ ამ ხნის განმავლობაში.